სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების როლი ტურიზმის განვითარებაში

მარიანა ალავიძე
ელ.ფოსტა: mariana.alavidze908@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ#3, 0179 თბილისი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების წარმოჩენას და მათ პოპულარიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ მათი დიდი ნაწილი აქამდე მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი.

დღეს ისტორიულ, არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად, მარშრუტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნების საოცრებები, რაც ბევრად მიმზიდველს გახდის ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობას.

ნაშრომში მოცემულია დახასიათება სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ყველა იმ ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ობიექტისა, რომელიც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი და როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხოლოდ სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფი იცნობდა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე:

- მოხდა სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებული ნაცნობი და დღემდე უცნობი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დაჯგუფება გარკვეული კომპონენტების მიხედვით;
- შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის საერთო რუკა, სადაც დატანილია ნაშრომში მოცემული ყველა ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა;
- თითოეული მუნიციპალიტეტისათვის, ცალ-ცალკე, შეიქმნა მსხვილმასშტაბიანი ტურისტული რუკები მარშრუტებით.